საქართველოს სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკა ბუნებრივი აირის სფეროში

29 თებერვალი, 2008 წ.

საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 6 ივლისის დადგენილების თანახმად, გაზის და ელექტროენერგიის სფეროში საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტებია: (ა) გაზის ობიექტების აღდგენა, (ბ) მათი ვალებისგან გათავისუფლება და პრივატიზაცია, (გ) გაზის მოწოდების წყაროების დივერსიფიცირება და (დ) ამ სექტორში გამჭვირვალე და ლიბერალური ბაზრის ჩამოყალიბება.

2008 წლის თებერვლისათვის საქართველოს ბუნებრივი აირის სექტორი, გარდა მთავარი გაზსადენების სისტემისა და გარდაბნის მეორე და მეოთხე ენერგობლოკებისა, მთლიანად პრივატიზებულია. ამჟამად საქართველო ბუნებრივ აირს იღებს სამი მომწოდებლისგან. მოწოდების ხანგრძლივი კონტრაქტი მათგან მხოლოდ ერთთან – სამხრეთკავკასიური მილსადენის კონსორციუმთანაა გაფორმებული[1]. რუსეთთან და აზერბაიჯანულ კომპანია SOCAR–თან საქართველოს მთავრობას გაზის მოწოდების შესახებ, სავარაუდოდ, მხოლოდ სიტყვიერი შეთანხმება აქვს. მოლაპარაკებები ამ მომწოდებლებთან ფარულად წარმოებს და შესაბამისად, საზოგადოებისთვის რთულად გასარკვევია, თუ რა პირობებს ეყრდნობა ეს მოლაპარაკებები.

ბუნებრივი აირის მომხმარებელი და სატრანსპორტო საწარმოები

გაზის ობიექტების პრივატიზაცია გაზის სექტორის გაჯანსაღების ერთ-ერთი მთავარ წინაპირობად განიხილებოდა როგორც პრეზიდენტ შევარდნაძის დროს, ასევე – ახალი ხელისუფლების პერიოდშიც, თუმცა მნიშვნელოვანი განსხვავებები იყო პრივატიზაციის განხორციელების ფორმებსა და შინაარსში.

დღეს საქართველოს გაზის ბაზარზე ხუთი მსხვილი გაზის მომხმარებელი კერძო კომპანიაა. ესენია:

(1) ყაზტრანსგაზი თბილისი – დედაქალაქის დისტრიბუცია;
(2) იტერა–საქართველო – რეგიონების მიმწოდებელი კომპანია, რომელსაც ეკონომიკურად აქტიურ ქვემო და შიდა ქართლის რეგიონებში 10 საკუთარი სადისტრიბუციო კომპანია აქვს;

[1] კონტრაქტი დაიდო 2002 წელს, პრეზიდენტ შევარდნაძის დროს.

ანგარიში მოამზადა „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ BP საქართველოს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში. ანგარიში არ ასახავს დონორის მოსაზრებებს

(3) მტკვარი–ენერგეტიკა, რომელსაც ეკუთვნის გარდაბნის მეცხრე და მეათე[2] ენერგობლოკები;
(4) ენერჯი–ინვესტი, რომელსაც ეკუთვნის რუსთავის აზოტი და გარდაბანში არსებული აირტურბინა;
(5) საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი, რომელსაც ეკუთვნის რუსთავისა და კასპის ცემენტის ქარხნები გერმანულ კომპანია ჰაიდელბერგ ცემენტთან წილობრივი მონაწილეობით.

ამ კომპანიათაგან იტერა და რუსთავისა და კასპის ცემენტის ქარხნები (ეს ქარხნები გაზისა და ბუნებრივი აირის მსხვილი მომხმარებლები არიან) ყველაზე ძველი კერძო კომპანიებია გაზის ბაზარზე. ორივე მათგანის პრივატიზაცია 1998-1999 წლებში განხორციელდა.

გაზის სექტორის პრივატიზაცია შევარდნაძის მმართველობის დროს: იტერა და გაზპრომი

რუსული კომპანია იტერა 1996 წლიდან 2003 წლამდე საქართველოსთვის გაზის მთავარი მომწოდებელი იყო. 1998 წელს იტერას ქართველმა პარტნიორებმა შეიძინეს 10 სადისტრიბუციო ქსელი ინდუსტრიულად აქტიურ ქვემო და შიდა ქართლის რეგიონებში. ამ პრივატიზაციას საფუძვლად დაედო ხელოვნურად წარმოშობილი დავალიანება[3], რაც 90-იან წლების პოსტსაბჭოთა სივრცეში პოტენციურად მომგებიანი ობიექტების ხელში ჩაგდების ტრადიციული სცენარი იყო.

იტერა არსებულ დავალიანების ჩამოწერის სანაცვლოდ (იტერას მტკიცებით 2002 წლისთვის ეს დავალიანება 91 აშშ მილიონ დოლარს შეადგენდა) საქართველოს ხელისუფლებისგან მისთვის თბილისის დისტრიბუციის, მაგისტრალური გაზსადენების და რუსთავის აზოტის მიყიდვას ითხოვდა. კომპანია ამ დაინტერესებას იმით ხსნიდა, რომ მას ჰქონდა საკუთარი გაზის მოპოვება რუსეთში და კარგი ურთიერთობები როგორც გაზპრომთან, რომელიც მილსადენების სისტემაში გაზს უტარებდა, ისე თურქმენეთის ხელისუფლებასთან, საიდანაც გაზს ყიდულობდა.

საქართველოს ხელისუფლებამ თბილისის დისტრიბუციისა და მაგისტრალური გაზსადენების მიყიდვაზე იტერას უარი უთხრა, თუმცა ის დასთანხმდა იტერასთვის რუსთავის ქიმიური კომბინატის გადაცემას. ეს კომბინატი გაზის უმსხვილესი მომხმარებელია. ის ბუნებრივ აირს იყენებს არა მხოლოდ როგორც ენერგიის წყაროს, არამედ როგორც ნედლეულსაც. 2003 წლისთვის აზოტს უზარმაზარი დავალიანება ჰქონდა. მისი ძირითადი კრედიტორი ამ პერიოდში თავად იტერა იყო. შესაბამისად, ქართულ მხარეს ან ეს დავალიანება უნდა დაეფარა და ან კომბინატი იტერასთვის

[2] 2001 წლის დეკემბრის ავარიის შემდეგ მეათე ენერგო ბლოკი მწყობრიდან არის გამოსული. კომპანია ამჟამად მხოლოდ მეცხრე ბლოკს ამუშავებს.
[3] აღნიშნული ფაქტი დასტურდება კონტროლის პალატის მიერ 1998-2002 წლებში ჩატარებული შემოწმებებით.

ანგარიში მოამზადა „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ BP საქართველოს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში. ანგარიში არ ასახავს დონორის მოსაზრებებს

დაეთმო. ხელისუფლებამ შედარებით მარტივი გზა აირჩია და 2003 წლის თებერვალში აზოტი იტერას 500 ათას აშშ დოლარად მიჰყიდა[4].

2002 წლიდან იტერას ურთიერთობები გაზპრომთან თანდათან გაუარესდა და 2003 წლის შუა პერიოდში კრტიკულ ნიშნულს მიაღწია[5]. საქართველოს ხელისუფლებამ შეიტყო რა გაზპრომსა და იტერას შორის ურთიერთობების დაძაბვის შესახებ, ნელ-ნელა დაიწყო იტერაზე ზეწოლის განხორციელება და მისი ქართული ბაზრიდან განდევნა[6]. 2002 წლიდან პარალელურ რეჟიმში ინტენსიური მოლაპარაკებები დაიწყო RAO UES-თან და გაზპრომთან, ერთის მხრივ, თელასში AES-ის ჩანაცვლებისა და მეორეს მხრივ, გაზის ობიექტების პრივატიზაციის შესახებ.

ოცდახუთწლიანი სტრატეგიული შეთანხმება გაზპრომთან

საქართველოს ხელისუფლებამ ფარული მოლაპარაკებები გაზპრომთან 2002 წელს დაიწყო და 2003 წლის 1 ივლისს ოცდახუთწლიანი სტრატეგიული შეთანხმების ხელმოწერით დაასრულა. ამ მოლაპარაკებების შესახებ საზოგადეობამ პირველად ინფორმაცია მხოლოდ შეთანხმების გაფორმებიდან ორი კვირის შემდეგ მიიღო.

შეთანხმების შინაარსი მაშინვე იქცა მნიშვნელოვანი კრიტიკის საგნად. ის გულისხმობდა მხარეების მიერ პარიტეტულ საწყისებზე (თანაბარი წილობრივი მონაწილეობით) ერთობლივი საწარმოს შექმნას და გაზის მთელი სექტორის, მაგისტრალური მილსადენების ჩათვლით, გაზპრომისათვის გადაცემას[7]. მაშინდელი ენერგეტიკის მინისტრის დავით მირცხულავას განმარტებით, ქართული მხარე წარმოშობილი დავალიანების დაფარვის პასუხისმგებლობას იღებდა თავის თავზე, ხოლო რუსული მხარე დებდა პირობას, რომ უახლოესი ათი წლის განმავლობაში გაზზე ფასს არ გაზრდიდა, თუმცა ეს ბოლო პუნქტი შეთანხმებაში არ ფიგურირებდა. სამაგიეროდ მასში აღნიშნული იყო, რომ დავების წარმოშობის შემთხვევაში მხარეები მათ გადასაწყვეტად მიმართავდნენ არა საერთაშორისო არბიტრაჟს (ნეიტრალურ მხარეს), არამედ რუსეთის ფედერაციის სასამრთლოს, რაც, ბუნებრივია, დავების გადაწყვეტის მიუკერძოებლობას ეჭვქვეშ აყენებდა.

2003 წლის ივლის-სექტემბერში ქართულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ "პარტნიორობა სოციალური ინიციატივებისათვის" (PSI) და "კასპიისპირეთის ენერგეტიული კვლევების პროექტმა"[8] არასამთავრობო ორგანიზაცია "საქართველო ნატოსათვის" ოფისში რამდენიმე

---

[4] რუსთავის ქიმიური კომბინატის აზოტის დავალიანება სახელმწიფოს ერთხელ უკვე ჰქონდა ჩამოწერილი 1998 წელს. 2003 წლისათვის იტერას მიმართ წარმოშობილი დავალიანება უკვე 120 მილიონ ლარს შეადგენდა.

[5] 2002 წლამდე იტერა ერთადერთი გაზის მომპოვებელი, თურქმენული გაზის ტრადერი და დსთ-ს ქვეყნებში გაზის მომწოდებელი კერძო კომპანია იყო რუსეთში. 2002 წლიდან გაზპრომმა დაიწყო გაზის ბაზრის სრული მონოპოლიზაცია და იტერას პოსტსაბჭოთა სივრციდან გამოძევება.

[6] ხელისუფლებასთან ახლოს მდგომი ჯგუფები ცდილობდნენ იტერა კომპენსაციის გარეშე ბაზრიდან გაეძევებინათ და ის ჩაენაცვლებინათ უფრო ძლიერი პარტნიორით, რომელიც წინასაარჩევნო პერიოდში ქვეყნის გაზით შეუფერხებელ უზრუნველყოფას შეძლებდა.

[7] მხოლოდ მილსადენებში გაზპრომი 500 მილიონი აშშ დოლარს იხდიდა.

[8] მრგვალი მაგიდის შეხვედრებს ისევე, როგორც კასპიისპირეთის კვლევების პროექტს აფინანსებდა ბაქოში ბაზირებული ქართულ/აზერბაიჯანული ბიზნეს ჯგუფი.

ანგარიში მოამზადა „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ" BP საქართველოს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში. ანგარიში არ ასახავს დონორის მოსაზრებებს

ღია დისკუსია გამართა, რომლებიც გაზპრომსა და საქართველოს ხელისუფლებას შორის გაფორმებულ სტრატეგიულ შეთანხმებას მიეძღვნა. განხილვებში სამთავრობო მხარეს ენერგეტიკის მინისტრი წარმოადგენდა. მასში მონაწილეობა მიიღეს სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურების, ენერგეტიკული კომპანიების და დიპლომატიური კორპუსის წარმომდგენლებმა და დამოუკიდებელმა ექსპერტებმა.

ამ შეხვედრებზე გამოთქმული შენიშვნების თანახმად, ოცდახუთწლიანი შეთანხმება საქართველოში რუსული ტიპის მონოპოლური გაზის ბაზრის ჩამოყალიბების საფრთხეს ქმნიდა, ვინაიდან ბუნებრივი აირის შემოტანა, ტრანსპორტირება და დისტრიბუცია მთლიანად ერთი კომპანიის ხელში გადადიოდა. გარდა ამისა, ჩნდებოდა იმის საშიშროებაც, რომ მილსადენების გაზპრომის შვილობილი კომპანიისთვის გადაცემის შედეგად საქართველოს ენერგეტიკული ბაზარი ან საერთოდ დაკარგავდა აზერბაიჯანის შახდენიზის კონსორციუმთან დადებული შეთანხმებით გათვალისწინებული იაფი ბუნებრივი აირის მიღების შესაძლებლობას, ან კი მისი ერთადერთი ბენეფიციარი მხარე გაზის სექტორში წარმოშობილი რუსულ-ქართული გაზის მონოპოლია გახდებოდა.

დამოუკიდებელმა იურისტებმა სტრატეგიული შეთანხმების სამართლებრივი ანალიზიც მოამზადეს.[9] აშშ განვითარების სააგენტომ დააფინანსა განხილვების ამსახველი დოკუმენტური ფილმის გადაღება. ყველა ეს ღონისძიება მიზნად ერთ რამეს ისახავდა – დაერწმუნებინა საქართველოს ხელისუფლება, რომ მოეხდინა გაზპრომთან დადებული შეთანხმების დენონსაცია ან გადახედვა.

ვარდების რევოლუციის პერიოდში ეს პროცესი დროებით შეჩერდა, ხელისუფლების ცვლილების შემდეგ კი საერთოდ შეწყდა, რადგან ლობირებაში ჩართულმა ორგანიზაციებმა და ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ ახალი ხელისუფლება საკუთარი ინიციატივით გადასინჯავდა გაზპრომთან გაფორმებულ ხელშეკრულებას და მას საქართველოს სახელმწიფო ინტერესებთან შესაბამისობაში მოიყვანდა. ბუნებრივია, არავინ ამბობდა, რომ მთავრობას გაზპრომთან ურთიერთობა საერთოდ უნდა გაეწყვიტა, ექპსერტები აქცენტს იმაზე აკეთებდნენ, რომ აუცილებელი იყო გაზის ბაზრის მონოპოლიზაციისგან დაცვა და გაზის მოწოდების წყაროების დინვერსიფიცირება.

გაზის სექტორის პრივატიზაცია ახალი ხელისუფლების დროს: თბილისის დისტრიბუცია, რუსთავის აზოტი, მაგისტრალური გაზსადენები

საწარმოების ვალებისგან გათავისუფლება და მოწინააღმდეგე პოლიტიკურ-ფინანსური ჯგუფების განეიტრალება

გაზის საწარმოთა პრივატიზაცია, მათი შემდგომი განვითარების მიზნით, ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგაც გაგრძელდა. განსხვავებით წინა მთავრობისგან, რომელიც

[9] ამ შეთანხმების იურიდიული ანალიზი გაკეთდა იმისათვის, რომ ზეწოლა მომხდარიყო ხელისუფლებაზე დოკუმენტის ყველაზე წამგებიანი დებულებების საქართველოს ინტერესების გათვალისწინებით კორექტირების მიზნით. ეს იყო ჩარჩო შეთანხმება, რჯომლის საფუძველზეც უნდა დადებულიყო უფრო დეტალური ხელშეკრულება.

ანგარიში მოამზადა „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ BP საქართველოს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში. ანგარიში არ ასახავს დონორის მოსაზრებებს

საპრივატიზაციო საწარმოებს ჯერ დავალიანებებს არიცხავდა და შემდეგ მათ მთავარ კრედიტორებზე ყიდდა[10], ახალმა მთავრობამ უარი განაცხადა დავალიანების მქონე საწარმოების ვალში გაქვითვაზე, თუმცა მას არც დავალიანებების დაფარვის სურვილი ჰქონდა (მითუმეტეს, რომ ამ დავალიანებების წარმოქმნასთან დაკავშირებით ბევრი კითხვა არსებობდა). შესაბამისად, პოსტ-რევოლუციურმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ საწარმოები წინა ხელისუფლების პირობებში გაჩენილი დავალიანებებისგან გაეთავისუფლებინდა და ისინი ტენდერის წესით გაესხვისებინა. შედეგად, იტერას უარი ეთქვა თბილისის გაზის დისტრიბუციისა და რუსთავის ქიმიური კომბინატის დავალიანებების გაქვითვაზე.

ახალი მთავრობის ამგვარ ქმედებას, ბუნებრივია, საკმაოდ მყარი საფუძველი ჰქონდა, თუმცა, მეორეს მხრივ, ასეთმა მიდგომამ წინა მთავრობის მიერ აღებული ვალდებულებების უგულვებელყოფის პრაქტიკას დაუდო საფუძველი, რაც იურიდიულად სრულიად არამართლზომიერია[11]. იტერასთვის დავალიანების დაფარვაზე უარის თქმა მთავრობამ იმით განმარტა, რომ იტერას საქმიანობის პერიოდში გაზის გამზომი ხელსაწყოები ყველგან არ იყო დამონტაჟებული, მათი დიდი ნაწილი კი ძველი და მწყობრიდან გამოსული იყო. ერთადერთი გამართული გაზის გამზომი რუსეთის მხარეს მაგისტრალურ გაზსადენზე იდგა. იტერა სწორედ ამ გამზომის მონაცემებს ეყრდნობოდა.

იტერას ჩანაცვლება გაზპრომით

2003 წლის აგვისტოდან რუსულმა სახელმწიფო მონოპოლურმა კომპანია გაზპრომმა კერძო კომპანია იტერას თავის მილსადენებში გაზის გატარების უფლება ჩამოართვა[12] და შედეგად, საქართველოსთვის გაზის მთავარი მომწოდებელი გახდა. ამ დროიდან უკვე დაიწყო ვალების დაგროვება გაზპრომის მიმართ (თუმცა შედარებით ნაკლები ტემპებით). 2005 წლის მარტისათვის თბილგაზის მიერ გაზპრომის მიმართ წარმოშობილი დავალიანება 7.4 მილიონ აშშ დოლარს შეადგინა.

2004-2005 წლებში ხელისუფლებამ[13] გაზპრომთან ქართული სახელმწიფო კომპანიების – თბილგაზის, რუსათვის ქიმიური კომბინატის და მაგისტრალური გაზსადენების მიყიდვის შესახებ აქტიური მოლაპარაკეებები წამოიწყო. გაზპრომი ყველაზე მეტად მაგისტრალური გაზსადენების შესყიდვით იყო დაინტერესებული.

---

[10] საპრივატიზაციოდ გამზადებული საწარმოს ვალებით დასატვირთად შეთანხმებულად მოქმედებდნენ გაზის მომწოდებელი, მისი შუამავალი რგოლი (იტერა და მისი შუამავლები Magti-Energy, Also Trans, Angloil, Burst Energy, Sakhgazi, Transgaz და Cateco), საპრივატიზაციო საწარმოს ხელმძღვანელობა და უმაღლეს პოლიტიკურ წრეებთან დაახლოებული ჯგუფები.

[11] თუ იტერას მოთხოვნა დაუსაბუთებელი იყო, ხელისუფლებას ის სასამართლოს გზით უნდა უკუეგდო, ნაცვლად მისი იგნორირებისა.

[12] იტერა საწყის ეტაპზე რუსულ სივრცეში ერთადერთი კერძო კომპანია იყო, რომელსაც გაზპრომის მილსადენებში დაშვება ჰქონდა. მას შემდეგ გაზპრომი თავის მილსადენებში გაზს არავის უტარებს, რითაც გაზის ბაზრის სრულ მონოპოლიზაციას ახდენს.

[13] როგორც ის ცენტრალური აზიის ქვეყნებიდან წამოსული გაზის ნაკადებს აკონტროლებდა თავისი ევრაზიული გაზის მაგისტრალური ინფრასტრუქტურის საშუალებით.

ანგარიში მოამზადა „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ BP საქართველოს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში. ანგარიში არ ასახავს დონორის მოსაზრებებს

მოლაპარაკებების ერთ-ერთ ეტაპზე ქართული მხარე მზად იყო, რომ მაგისტრალური გაზსადენები გაზპრომისთვის 300 მილიონი აშშ დოლარის სანაცვლოდ პირდაპირი მიყიდვის წესით გადაეცა (მიუხედავად იმისა, რომ ოცხახუთწლიანი შეთანხმების თანახმად ისინი რუსულ-ქართულ საწარმოს უნდა გადასცემოდა) მითუმეტეს, რომ გაზპრომი ენერგეტიკის სფეროში ახალი ტექნოლოგიების შემოტანისა და დანერგვის პირობასაც დებდა[14]. მხარეებმა მაშინგ ე.წ. განზრახულებათა ოქმიც კი მოამზადეს, თუმცა ამ ოქმს შემდგომი განხორციელება არ მოჰყოლია[15].

გაზპრომის ქართული მაგისტრალური გაზსადენებით განსაკუთრებული დაინტერესება, სავარაუდოდ, იმით იყო განპირობებული, რომ მას ირან-სომხეთ-საქართველო-რუსეთის გაზის მილსადენების ერთმანეთთან დაკავშირებით გაზის ერთიანი ინფრასტრუქტურის შექმნა სურდა. ეს რუსულ გიგანტს საშუალებას მისცემდა, რომ ირანიდან ევროკავშირის მიმართულებით პოტენციურად წამოსული საექსპორტო გაზის ნაკადები გაეკონტროლებინა. ამ გზით გაზპრომის სატრანსპორტო და სატრანზიტო მონოპოლია უკვე ირანული გაზის პოტენციური ექსპორტის გარკვეულ სეგმენტზეც გავრცელდებოდა. მოვლენების ასეთი განვითარება, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვნად გაზრდიდა გაზპრომის და რუსეთის გეოპოლიტიკურ როლს კავკასიასა და სპარსეთის ყურეში. ქართველი ექსპერტები და საქართველოს სტრატეგიული პარტნიორები ევროკავშირსა და აშშ-ში მაგისტრალური მილსადენების გაზპრომისთვის მიყიდვას სწორედ ამ მიზეზით ეწინააღმდეგებოდნენ.

მიუხედავად ექსპერტების და დასავლური პარტნიორების ამ წინააღმდეგობისა, საწყის ეტაპზე საქართველოს ხელისუფლება მაგისტრალური გაზსადენების გაზპრომისთვის გადაცემაზე მოლაპარაკებებს კვლავ განაგრძობდა, რასაც ოფიციალურად იმით ხსნიდა, რომ მაგისტრალები მნიშვნელოვან შეკეთებას საჭიროებდა. GasExport-ის ქართველმა წარმომადგენელმა კერძო საუბარში აღნიშნა, რომ რუსული მხარე მაგისტრალური მილსადენების გადაცემის სანაცვლოდ საქართველოს სამხრეთ ოსეთის საკითხის მოგვარებაში დახმარების გაწევას ჰპირდებოდა[16]. ეს მოლაპარაკებები საბოლოოდ მაშინ შეწყდა, როცა 2005 წლის აგვისტოში ამერიკულმა ფონდმა "ათასწლეულის გამოწვევა – საქართველო" მაგისტრალური გაზსადენების რეაბილიტაციისთვის საქართველოს 49.5 მილიონი აშშ დოლარი გამოუყო.

მას შემდეგ, რაც გაზპრომმა მისთვის მაგისტრალური მილსადენების მიყიდვაზე უარი მიიღო, მან თბილგაზისა და რუსთავის აზოტის შესყიდვის ინტერესი დაკარგა.

2005 წლის ბოლოს და 2006 წლის დასაწყისში საქართველოს ხელისუფლებამ განაგრძო გაზპრომთან მოლაპარაკებები გაზის მოწოდებასთან დაკავშირებით გრძელვადიანი კონტრაქტის დადების შესახებ, თუმცა 2006 წლის იანვრის ბოლოს, რუსეთიდან შემომავალ გაზსადენებზე (რუსეთის ტერიტორიაზე) მომხდარი აფეთქების გამო, რამაც

---

[14] კერძოდ, ლაპარაკი იყო გარდაბანში აირტურნიბის დადგმასა და რეგიონზე გათვლილი თხევადი გაზის სადგურების შექმნაზე.

[15] განზრახულებათა ოქმზე მხარეებს ხელი არ მოუწერიათ, რადგან როგორც ადგილობრივი ექსპერტები, ისე საქართველოს პარტნიორები დასავლეთში მასში გეოპოლიტიკური ხასიათის საფრთხეებს ხედავდენენ და საქართველოს ხელისუფლებას მის დადებას არ ურჩევდნენ.

[16] გაზსადენების გაზპრომისთვის მიყიდვის შესახებ მოლაპარაკებების წარმოების პარალელურად საქართველოს ხელისუფლება აქტიურად ცდილობდა ცხინვალის საკითხის გადაჭრას.

ანგარიში მოამზადა „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ BP საქართველოს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში. ანგარიში არ ასახავს დონორის მოსაზრებებს

ზამთარში საქართველოს მოსახლეობა თითქმის ათი დღის მანძილზე გათბობის გარეშე დატოვა[17], მოლაპარაკებები შეწყდა.

თბილგაზის პრივატიზაცია და ყაზტრანსგაზი

როგორც აღვნიშნეთ, 2005 წლის გაზაფხულისათვის თბილგაზის დავალიანება გაზპრომის მიმართ 7.4 მილიონ აშშ დოლარს, ხოლო ქალაქის ბიჯეტის მიმართ 120 მილიონ ლარს შეადგენდა. გაზპრომთან ჩაშლილი მოლაპარაკებების შემდეგ ხელისუფლებამ ისეთი ინვესტორის ძებნა დაიწყო, რომელიც ან თავად შემოიტანდა იაფ გაზს, ან კი შეძლებდა გაზპრომს სასურველ ფასში საჭირო რაოდენობის გაზის მოწოდების შესახებ მოლაპარაკებოდა.

ასეთი ინვესტორი, ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ყაზახური კომპანია "ყაზტრანსგაზი" აღმოჩნდა, რომელსაც მთავრობამ თბილისის დისტრიბუცია მიჰყიდა. ყაზტრანსგაზი ყაზახური სახელმწიფო ნავთობისა და გაზის კომპანია "ყაზმუნაიგაზის" შვილობილი კომპანიაა და ყაზახეთში გაზის ტრანსპორტირებას ახორციელებს. სათავო კომპანია ყაზმუნაიგაზი ნავთობსა და გაზს თავად მოიპოვებს ყაზახეთში და მას გაზპრომთან ახლო პარტნიორული ურთიერთობები აქვს. შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლებამ მიიჩნია, რომ "აზმუნაიგაზი" შეძლებდა გაზპრომი დაერწმუნებინა, რომ თბილისისთვის განკუთვნილი გაზი თავის მილსადენში დაეშვა და ამგვარად, ყაზტრანსგაზი საქართველოს იაფი ყაზახური გაზით უზრუნველყოფდა.

2005 წლის მარტში სასტუმრო "თბილისი მარიოტში" გაიმართა საექსპერტო შეხვედრა[18], რომელსაც ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაურიც ესწრებოდა. ამ შეხვედრაზე ქართველმა ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ საქართველოს ხელისუფლების მოლოდინები "ყაზტრასგაზის" მიმართ გადაჭარებული – რომ გაზპრომი თავის მილსადენებში მესამე მხარეს არ დაუშვებდა და "ყაზმუნაიგაზი" "გაზპრომთან" ურთიერთობებს თბილისის იაფი გაზით უზრუნველყოფისთვის არ გაიფუჭებდა. მთავრობამ ექსპერტთა ეს მოსაზრებები უსაფუძვლოდ ჩათვალა და თბილისის დისტრიბუცია ყაზახურ კომპანიას მაინც მიჰყიდა. მოგვიანებით აშკარა გახდა, რომ ესპერტების შეფასებები რეალური იყო. ყაზახურმა კომპანიამ ვერ შეძლო თბილისში იაფი გაზის შემოტანა.

რუსთავის ქიმიური კომბინატის პრივატიზაცია

რუსთავის აზოტი საქართველოს მთავრობამ საპრივატიზაციოდ პირველად 1998 წელს გამოიტანა. მაშინ მისი ყიდვის სურვილი ერთადერთმა კომპანიამ Magti-Energy-მ გამოთქვა.

[17]საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის მრჩეველი პროფ. თ. გოჩიტაშვილი არ იზიარებს ამ მოსაზრებას. მისი მტკიცებით, საქართველოს ხელისუფლებამ შეძლო დაუყოვნებლივ აღედგინა გაზის მიწოდება საყოფაცხოვრებო სექტორისთვის, რისთვისაც მან ჯერ აზერბაიჯანიდან შემოიტანა გაზი, ხოლო მას შემდეგ, რაც რუსეთმა აზერბაიჯანსაც შეუწყვიტა გაზის მიწოდება (შირვანოვკის საკომპრესორო სადგურის მწყობრიდან გამოსვლის მომიზეზებით) – ირანიდან.

[18] მას შემდეგ ასეთი შეხვედრები აღარ გამართულა.

ანგარიში მოამზადა „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ" BP საქართველოს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში. ანგარიში არ ასახავს დონორის მოსაზრებებს

ამ პერიოდში აზოტს იმხელა დავალიანება ჰქონდა, რომ Magti-Energy-ს[19] საწარმო სიმბოლურ ფასად – 1 ლარად გადაეცა. ამ ფაქტმა საზოგადოება იმდენად აღაშფოთა, რომ საკითხის გადაწყვეტაში პრეზიდენტი შევარდნაძე უშუალოდ ჩაერია და მეორე დღეს ტენდერის შედეგი გაუქმდა.

აზოტი საბოლოოდ 2003 წელს გაიყიდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ის იტერამ 500 ათას აშშ დოლარად შეისყიდა. მოგვიანებით ახალმა ხელისუფლებამ ეს გადაწყვეტილებაც გააუქმა, კომპანია ვალებისგან გაასუფთავა (ვალები პირდაპირ ჩამოწერა და იტერა და მასთან დაკავშირებული ფინანსური ჯგუფები კომპენსაციის გარეშე დატოვა) და ის ახალ მეპატრონეს – რუსულ-ქართულ ბიზნეს ჯგუფს Energy-Invest-ს გადასცა.

დღესდღეობით უცნობია, თუ რა ჯგუფი დგას კომპანია Energy-Invest-ის უკან. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ამ სახელწოდების ენერგეტიკული კომპანია რუსულ სივრცეში არ არსებობს[20] და რომ მას ენერგეტიკის ან სასუქების წარმოებაში საქმიანობის გამოცდილება ნაკლებად აქვს, ან საერთოდ არა აქვს. მას რუსული გაზი გერმანიაში დარეგისტრირებული ოფშორული ჯგუფის **ЗМБ Гмбх** შუამავლობით შემოაქვს[21].

აზოტის ქარხნის მოძველებული ტექნოლოგიების გადაიარაღებას, მის კაპიტალურ შეკეთებას და ტექნოლოგიების განახლების შემთხვევაში კადრების გადამზადებას რამდენიმე ასეული მილიონი დოლარის ინვესტიცია და იაფი ბუნებრივი აირით გარანტირებული უზრუნველყოფა ესაჭიროება. ამ ეტაპზე ძნელი სათქმელია, აქვს თუ არა კომპანია Energy – Invest-ს ამისთვის საჭირო რესურსები ან გამოცდილება.

გაზპრომთან გართულებული ურთიერთობები და აზერბაიჯანული გაზი

ამრიგად, 2006 წლის იანვრის ბოლოსთვის საქართველოს გაზის ობიექტები, გარდა მაგისტრალური გაზსადენებისა და ცემენტის ქარხნებისა[22], გაზპრომთან დაახლოებულ რუსულ-ქართულ და რუსულ-ყაზახურ ბიზნეს ჯგუფებზე იქნა გაყიდული.

2006 წლის დასაწყისში ხელისუფლებამ გაზის ბაზრის ლიბერალიზება დაიწყო და მსხვილ გაზის მომხმარებლებს – ყაზტრანსგაზს, იტერას, მტკვარი-ენერგეტიკას და ენერჯი ინვესტს უფლება მისცა, გაზექსპორტთან მოლაპარაკებები უშუალოდ ეწარმოებინათ და რუსეთიდან ბუნებრივი აირი თვითონვე შემოეტანათ. ამით მთავრობა შეეცადა, გაზის ბიზნესი პოლიტიკური გავლენის სფეროდან გამოეყვანა, მაგრამ ეს მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. ჩამოთვლილმა კომპანიებმა რუსულ მხარესთან მოლაპარაკებების წარმატებულად წარმართვა და ქართული ენერგეტიკული ბაზრის იაფი რუსული გაზით უზრუნველყოფა ვერ შეძლეს.

---

[19] Magti-Energy ერთ-ერთი შუამავალი კომპანია იყო იტერასა და სადისტრიბუციო კომპანიებს შორის. იგი პრეზიდენტ შევადნაძის სიძეს ეკუთვნოდა.

[20] რუსეთში ასეთი სახელწოდების და პროფილის საწარმო არ არსებობს.

[21] ჯერჯერობით არც ის არის ცნობილი, თუ რამდენ ხანს ექნება ამ კომპანიას რუსული გაზის მიღების შესაძლებლობა.

[22] 2006 წლისათვის საქართველოს ინდუსტრიულმა ჯგუფმა ცემენტის ქარხნებში საკონტროლო პაკეტი გერმანულ კომპანია ჰაიდელბერგ ცემენტს დაუთმო.

ანგარიში მოამზადა „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ BP საქართველოს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში. ანგარიში არ ასახავს დონორის მოსაზრებებს

2006 წელს რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობები კიდევ უფრო დაიძაბა, რასაც რუსულმა მხარემ საქართველოსთვის სრული ეკონომიკური ემბარგოს დაწესებით უპასუხა. პარალელურად საქართველოსთვის რუსული გაზის ფასი 110 აშშ დოლარიდან 235 აშშ დოლარამდე გაიზარდა.

თავდაპირველად პრეზიდენტმა სააკაშვილმა ღიად განაცხადა, რომ საქართველო რუსულ გაზში პოლიტიკურ ფასს არ გადაიხდიდა. მთავრობამ გაზის მსხვილ მომხმარებელ კერძო კომპანიებს 110 აშშ დოლარსა და 235 აშშ დოლარიან ფასს შორის განსხვავების დასაფარად კრედიტი გამოუყო და ალტერნატიული გაზის წყაროების ძიება დაიწყო. მან დახმარებისთვის თურქეთისა და აზერბაიჯაის მთავრობებს და აზერბაიჯანში მოქმედ საერთაშორისო კონსორციუმს მიმართა.

მოლაპარაკებები თურქეთთან

საქართვლოს ხელისუფლებამ თურქეთს მიმართა თხოვნით, რომ სამხრეთკავკასიური მილსადენით მისაღები შახ-დენიზის გაზის ნაწილი საქართველოსთვის დაეტოვებინა. სანაცვლოდ საქართველო თურქეთს თურქული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შიდა ბაზარზე შეუზღუდავად დაშვებას სთავაზობდა[23].

თურქეთს აზერბაიჯანის საერთაშორისო კონსორციუმთან დადებული აქვს კონტრაქტი, რომელიც შახ-დენიზის გაზის საბადოდან პირველ ფაზაში გარკვეული რაოდენობის გაზის მიღების წინასწარ ფასს ადგენს. კონტრაქტში ეს ფასი ათას კუბურ მეტრზე 120 აშშ დოლარით განისაზღვრება და საქართველო თურქეთს სწორედ ამ გაზის ნაწილის დათმობას სთხოვდა. იმ შემთხვევაში, თუ თურქეთი საქართველოს თხოვნას დააკმაყოფილებდა, მას თავისთვის რუსეთიდან და ბულგარეთიდან შემავალი მილსადენებით მიღებული შედარებით ძვირადღირებული გაზის უფრო მეტი რაოდენობით შესყიდვა მოუწევდა, რაც, ბუნებრივია, მისთვის არახელსაყრელი იქნებოდა. ამ დროისთვის თურქეთი ისედაც დამოკიდებული იყო რუსულ გაზზე (თურქეთის გაზის 65% რუსეთზე მოდის) და ამ დამოკიდებულების კიდევ უფრო გაზრდა მას არც ეკონომიკური და არც სტრატეგიული კუთხით არ აწყობდა. შესაბამისად, მან საქართველოს დახმარება ვერ გაუწია.

მოლაპარაკებები აზერბაიჯანში მოქმედ საერთაშორისო კონსორციუმთან

აზერბაიჯანის აზერი-ჩირაგი-გიუნეშლის ნავთობის საბადოს ოპერატორია საერთაშორისო კონსორციუმი, რომელსაც ხელმძღვანელობს ბრიტანული კომპანია BP. კონსორციუმი თანამდევი გაზის[24] ნაწილს, რეზერვუარში წნევის შენარჩუნების მიზნით, ისევ საბადოში აბრუნებს, ნაწილს კი, მხარეებს შორის არსებული შეთანხმების შესაბამისად, "აზერიგაზს" აძლევს.

[23] ქართველი ექსპერტები მიიჩნევდნენ, რომ თურქული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისათვის, რომელსაც ქართული ბაზრის უდიდესი სეგმენტი უჭირავს, ბაზრის კიდევ უფრო გახსნა ისედაც დასუსტებულ შიდა წარმოებას ძალიან დიდ პრობლემებს შეუქმნიდა.

[24] ზოგიერთ ნავთობის საბადოზე არის გაზიც, რომელიც ნავთობის ამოღების დროს მას თან მოჰყვება. ასეთ გაზს "თანმდევი გაზი" ეწოდება.

ანგარიში მოამზადა „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ" BP საქართველოს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში. ანგარიში არ ასახავს დონორის მოსაზრებებს

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის ამოქმედების შემდეგ კონსორციუმმა აზერი-ჩირაგი-გიუნეშლის საბადოდან ნავთობის მოპოვება მკვეთრად გაზარდა, შესაბამისად გაიზარდა თანმდევი გაზის რაოდენობაც. ქართულმა მხარემ კონსორციუმს სთხოვა, თანმდევი გაზის ნაწილი, მისი რეზერვუარში ჩაბრუნების ნაცვლად, აზერიგაზის საშუალებით საქართველოსთვის მოეწოდებინა. ეს რეზერვუარში წნევის დაცემას გამოიწვევდა, რასაც კონსორციუმი ვერ დაუშვებდა და ამიტომ მასაც, თურქეთის მსგავსად, საქართველოს უარით გასტუმრება მოუწია.

მოლაპარაკებები აზერბაიჯანის მთავრობასთან

2006 წლიდან აზერბაიჯანის ნავთობისა და გაზის კორპორაციამ ქვეყნის ხმელეთსა და ზღვის ზონაში არსებული ნავთობისა და გაზის საბადოებში მნიშვნელოვანი ინვესტიციები ჩადო, რამაც შედეგი სწრაფად გამოიღო. 2007 წლისთვის აზერბაიჯანში გაზის მოპოვება იმდენად გაიზარდა, რომ მან 235 აშშ დოლარიან რუსულ გაზე საერთოდ უარი განცხადა და შეძლო ქვეყნის გაზრდილი მოთხოვნის საკუთარი გაზით დაკმაყოფილება.

აზერბაიჯანი საქართველოს ხელისუფლების თხოვნას გაგებით შეხვდა და 2007 წლის გაზაფხულზე მიღწეული შეთანხმების საფუძველზე მარტის თვიდან საქართველომ SOCAR[25]-ისგან გაზის მიღება დაიწყო. შეთანხმების შესაბამისად 2007 წელს SOCAR-მა საქართველოს 238 მილიონი კუბური მეტრი ბუნებრივი აირი მიაწოდა (ათასი კუბური მეტრი 120 აშშ დოლარად)[26]. შეთანხმების მოქმედება 2007 წლის ოქტომბერში შეწყდა. მას შემდეგ მხარეებმა რამდენიმე ახალი მოლაპარაკება წამოიწყეს. შედეგად, რამდენჯერმე აზერბაიჯანული გაზის მიღება ისევ აღდგა[27], მაგრამ ჯერჯერობით 2008 წელს გაზის მოწოდების რაოდენობასა და ფასზე ახალი ხელშეკრულება არ გაფორმებულა.

ქართული მხარე ახლაც ცდილობს 2008 წელს მოსახმარი გაზის მთელი რაოდენობა – 1.5 მილიარდი კუბური მეტრი გაზი – აზერბაიჯანისგან მიიღოს, თუმცა ამ ეტაპზე უშედეგოდ. სავარაუდოდ, SOCAR-ს ან ამ რაოდენობის თავისუფალი რესურსი[28] არა აქვს, ან მხარეები ფასზე ვერ თანხმდებიან.

შახ-დენიზის აზერბიჯანული გაზი სამხრეთკავკასიური მილსადენიდან

საქართველოსთვის გაზის მოწოდების კიდევ წყაროა სამხრეთკავკასიური მილსადენი. 2001 წელს ამ მილსადენის კონსორციუმთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, მილსადენის ამოქმედების შემდეგ, 2007 წლიდან ქართული მხარე, როგორც სატრანზიტო მხარე, მილსადენში გატარებული გაზის 5%-ს იღებს. გარდა ამისა, საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყანას, აქვს პრივილეგია, შახ-დენიზის გაზის გარკვეული

[25] აზერბაიჯანის გაზს ქვეყნის შიდა ბაზარზე "აზერიგაზი", ხოლო გარე ბაზარზე SOCAR-ი განკარგავს.
[26] Black Sea Press via IMF, October 30 2007
[27] 2007 წლის ოქტომბრის ბოლოდან თებერვლამდე აზერბაიჯანული გაზის მოწოდება რამდენჯერმე შეწყდა და აღდგა.
[28] SOCAR ირანს დღეში 1 მილიონ კუბურ მეტრ გაზს აწვდის - 1000 კუბურ მეტრს 300 აშშ დოლარად.

ანგარიში მოამზადა „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ" BP საქართველოს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში. ანგარიში არ ასახავს დონორის მოსაზრებებს

რაოდენობა იყიდოს წინასწარ დადგენილ შეღავათიან ფასში. მილსადენის ამოქმედების პირველ წელს ეს რაოდენობა განისაზღვრება 200 მილიონი კუბური მეტრით, პირველი ფაზის ბოლო წელს – 500 მილიონი კუბური მეტრით. დადგენილი ფასი შეადგენს 63 აშშ დოლარს წლიური ორპროცენტიანი ესკალაციით.

საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია

საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია, საქნავთობის, საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის და საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის გაერთიანების ბაზაზე, 2007 წლის დასაწყისში შეიქმნა. კორპორაცია ნავთობისა და გაზის საბადოებზე პროდუქციის განაწილების შესახებ დადებულ ხელშეკრულებებში და ასევე, გაზის მოწოდების შესახებ წარმოებულ მოლაპარაკებებში (გაზის ტრანსპორტირებასა და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსთან ერთად) საქართველოს ხელისუფლების მხარეს წარმოადგენს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 2006 წლის დასაწყისში ძირითადმა გაზის მომხმარებელმა კომპანიებმა (ყაზტრანსგაზი, იტერა, მტკვარი-ენერგეტიკა, ენერჯი ინვესტი, საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია) 235 აშშ დოლარზე იაფი გაზის მოწოდების შესახებ გაზპრომთან მოლაპარაკება ვერ შეძლეს. სამაგიეროდ, საქართველოს ხელისუფლებამ მოახერხა, რომ აზერბაიჯანთან დღეში 1.3 მილიონი კუბური მეტრი გაზის 120 აშშ დოლარად (1000 კუბურ მეტრზე) მოწოდებაზე შეთანხმებულიყო. შედეგად, რუსულ და აზერბაიჯანულ გაზის ფასებს შორის მნიშვნელოვანი დისბალანსი წარმოიქმნა, რასაც რუსული მხარე უნდა ეეძულებინა, რომ, აზერბაიჯანული გაზისთვის კონკურენციის გაწევის მიზნით, გაზზე ფასი დაეკლო. თუ რუსული პარტნიორობით შექმნილი კომპანიები ზარალს ნახავდნენენ, ისინი იძულებულები გახდებოდნენ, მოლაპარაკებები ეწარმოებინათ გაზექსპორტთან. თუ ამას ვერ შეძლდებდნენ, სავარაუდოდ, გაკოტრდებოდნენ და აქტივების გაყიდვა მოუწევდათ.

თავისუფალი ბაზრის პრინციპების საპირისპიროდ, რაც საქართველოს ხელისუფლების ოფიციალურად გაცხადებული კურსის შემადგენელი ნაწილია, მთავრობამ აზერბაიჯანისგან და რუსეთისგან გაზის მთელი რაოდენობის შესყიდვა და მსხვილი მომხმარებლებისთვის მისი შეწონილი ტარიფით[29] მიყიდვა გადაწყვიტა[30]. ამრიგად, სათავო კომპანიების დახმარებით იაფი გაზის თავად შემოტანის ნაცვლად, საქართველოში მოქმედი რუსულ-ქართული და რუსულ-ყაზახური გაზის კომპანიები იაფი აზერბაიჯანული გაზის ბენეფიციარები გახდნენ.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ 2007 წლის 9 ნოემბერს საქართველოს მთავრობამ მიიღო №657 დადგენილება, რომლის ძალითაც მის მიერ 2007 წლის იანვარში გაზის კომპანიებისთვის რუსული გაზის შესაძენად გამოყოფილი კრედიტის დიდი ნაწილის

[29] გაზის სხვადასხვა ფასების საფუძველზე გამოთვლილი საშუალო არითმეტიკული ფასი.

[30] საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის მრჩეველის პროფ. თ. გოჩიტაშვილის თქმით, კორპორაცია მთელი წლის განმავლობაში ცდილობდა, რომ იაფი აზერბაიჯანული გაზი რუსული გაზით ჩაენაცვლებინა. სწორედ ამ მიზნით წამოიწყო აზერბაიჯანთან დამაკავშირებელი ინფრასტრუქტურის განვითარება. შედეგად, დღეისთვის ეს ინფრასტრუქტურა უკვე იძლევა იმის საშუალებას, რომ საქართველომ შეუზღუდავად მიიღოს იმ რაოდენობის გაზი, რამდენიც აზერბაიჯანს პოტენციურად შეუძლია, რომ საქართველოს მოაწოდოს.

ანგარიში მოამზადა „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ BP საქართველოს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში. ანგარიში არ ასახავს დონორის მოსაზრებებს

დაფარვა საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას დაავალა. ამით მთავრობამ აღიარა, რომ 2007 წელს საქართველოში გაზის შემომტანი ერთადერთი კომპანია საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია იყო. ცნობილია, რომ გაზის მსხვილ დისტრიბუტორებს ამ პერიოდში გაზი არ შემოუტანიათ და ამდენად სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ ცრედიტს ისინი ვერ მოიხმარდნენ.

ამავე დადგენილებით მთავრობამ საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას დაავალა, რომ მისი კუთვნილი თანმდევი გაზი მტკვარი-ენერგეტიკისთვის, ენერჯი-ინვესტისთვის და თბილსრესისთვის სულ მცირე 25 აშშ დოლარად მიეყიდა (დღგ-ს გარეშე). გაუგებარია, რა თანმდევ გაზზეა ლაპარაკი და რატომ უნდა მიეყიდოს ის აღნიშნულ კომპანიებს ასე იაფად[31].
ოფიციალური განმარტებით აზერბაიჯანული გაზის მოწოდების შეწყვეტის შემდეგ საქართველო ზამთრის თვეებში (დეკემბერი, იანვარი, თებერვალი) სომხეთის ტრანზიტის საფასურად დატოვებულ გაზს მოიხმარდა.[32] საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის განმარტებით სომხეთის ტრანზიტის საფასურად მისაღები გაზი დარეზერვებული იყო ზამთრის თვეებში მოხმარებისათვის. თუმცა გაზის ტრანსპორტირების კომპანიას სომხეთის ტრანზიტის საფასურად დატოვებული გაზი მიღებულად და განაწილებულად აქვს დაფიქსირებული 2007 წელს კვარტლების მიხედვით. ამგვარად არსებობს წინააღმდეგობა ოფიციალურ სიტყვიერ განმარტებასა და ოფიციალური დოკუმენტის მონაცემებს შორის, რაც ხელისუფლების მხრიდან მეტ სიცხადეს მოითხოვს.

დასკვნა

საქართველოს ხელისუფლების მიერ იაფი გაზის მიღების შესახებ თურქეთთან, საერთაშორისო კონსორციუმთან და აზერბაიჯანის მთავრობასთან წარმოებული მოლაპარაკებები ცხადყოფს, რომ ხელისუფლებას სრულად აქვს გათცნობიერებული საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის ხელში არსებული ბერკეტები და მათ გამოყენებას ცდილობს. აღსანიშნავია ისიც, რომ გასულ წელს ხელისუფლებამ შეძლო ქვეყნის ბუნებრივი აირით სრულად უზრუნველყოფა და რუსეთთან გართულებული ურთიერთობების შედეგად წარმოქმნილ პრობლემებზე დროულად რეაგირება, თუმცა გაზის სექტორთან მიმართებაში მთავრობის პოლიტიკაში კვლავ იკვეთება მნიშვნელოვანი პრობლემები, კერძოდ:

(ა) პრივატიზაციის თვალსაზრისით: საქართველოს ხელისუფლების განზრახვა, გაზის მსხვილი კომპანიები ისეთ ინვესტორებზე გაეყიდა, რომლებიც იაფ რუსულ გაზს შემოიტანდნენ, ვერ განხორციელდა. სანაცვლოდ, რუსულ-ქართული და რუსულ-ყაზახური ბიზნეს ჯგუფები იაფი აზერბაიჯანული გაზის ბენეფიციარები გახდნენ.

[31] ნინოწმინდის საბადოზე, რომელსაც კომპანია "კანარგო" ამუშავებს არის მცირე რაოდენობით თანმდევი გაზი, რომელიც საგარეჯოს მოსახლეობას მიეწოდება.
[32] ზამთრის თვებში საქართველო საშუალოდ 6 მილიონ კუბურ მეტრ გაზს მოიხმარს. სომხეთის ტრანზიტი წლიურად დაახლოებით 200 მილიონ კუბურ მეტრს შეადგენს.

ანგარიში მოამზადა „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ" BP საქართველოს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში. ანგარიში არ ასახავს დონორის მოსაზრებებს

(ბ) გაზის მოწოდების წყაროების დივერსიფიცირების თვალსაზრისით: საქართველოს ხელისუფლების მცდელობა, საჭირო რაოდენობის გაზი (1.5 მილიარდი კუბური მეტრი) მთლიანად აზერბაიჯანისგან მიიღოს ეწინააღმდეგება მისსავე მიზანს, მოახდინოს გაზის მიღების წყაროების დივერსიფიცირება, რაც ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს.

(გ) ლიბერალური ბაზრის ჩამოყალიბების თვალსაზრისით: ამჟამად საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია წარმოადგეს ბუნებრივი აირის მთავარ მიმწოდებელს, რაც გაზის ბაზარზე სახელმწიფოს კონტროლის გამკაცრებისკენ და არა მისი ლიბერალიზაციისკენ გადადგმული ნაბიჯია.

(დ) გაზით მომარაგების უსაფრთხოების თვალსაზრისით: ხელისუფლებამ ვერ შეძლო გაზის მოწოდების ხანგრძლივი კონტრაქტის[33] გაფორმება ვერც აზერბაიჯანთან და ვერც რუსეთთან, რაც საფრთხეს უქმნის ბაზრის სტაბილიზაციას.

(ე) მოლაპარაკებათა გამჭვირვალობის თვალსაზრისით[34]: გაზის მოწოდების შესახებ აზერბაიჯანთან და რუსეთთან არსებული შეთანხმებები დღესდღეობით, სავარაუდოდ, ვერბალურ ხასიათს ატარებს. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, რთულია საზოგადოებას ჰქონდეს სრული და სანდო ინფორმაცია მოლაპარაკებების პირობების შესახებ, რაც როგორც ენერგეტიკული, ისე ეკონომიკური კუთხით მნიშვნელოვან საფრთხეებს წარმოქმნის.

(ვ) სტრატეგიული ხედვის თვალსაზრისით: ხელისუფლებას დღემდე არა აქვს დადგენილი მრავალწლიანი ენერგეტიკული ბალანსი[35], სადაც გათვლილი იქნებოდა ენერგიის თითოეული წყაროს (ჰიდრო, გაზი, განახლებადი წყაროები და ა.შ.)როლი საერთო ენერგეტიკულ ბალანსში. 2007 წელს საქართველომ მხოლოდ 1,750 მილიონი კუბური მეტრი გაზი მოიხმარა, არ არის დადგენილი გაზის მოხმარების ზრდის სავარაუდო დინამიკა. მიუხედავად ამისა ხელისუფლებამ განაახლა საუბარი გაზსაცავის მშენებლობის შესახებ, რაც ხელისუფლებაში სტრატეგიული ხედვის არ არსებობაზე მიუთითებს

ავტორი: ლიანა
ჯერვალიძე
"საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" ენერგეტიკის ექსპერტი

[33] დასავლეთის ბაზარზე გაზის მოწოდების ხანგრძლივი კონტრაქტები გაზით უზრუნველყოფის უსაფრთხებოს ერთ-ერთ წინაპირობად ითვლება.

[34] საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის მრჩეველი პროფ. თ. გოჩიტაშვილი არ იზიარებს ამ მოსაზრებას. მისი აზრით "კომერციული მოლაპარაკებები საზოგადოებისთვის ღიად არ წარმოებს, ამიტომ მინიშმება მოლაპარაკებების "ფარულად" წარმოებაზე არა ადეკვატურად უნდა ჩაითვალოს."

[35] საუბარია მრავალწლიან ენერგეტიკულ ბალანსზე, სადაც გათვლილი უნდა იყოს ენერგიის თითოეული წყაროს (ჰიდრო, გაზი, განახლებადი წყაროები) როლი საერთო ენერგეტიკულ ბალანსში.

ანგარიში მოამზადა „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ" BP საქართველოს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში. ანგარიში არ ასახავს დონორის მოსაზრებებს